დარბაზის ქირავნობის ხელშეკრულება № დ1/15

ქ. თბილისი 13 მაისი, 2016 წელი

სსიპ – თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ნიკოლოზ ხორბალაძის სახით, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების თანახმად და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2006 წლის 11 ივნისის №15/1914/9-6 საფუძველზე, შემდგომში "შემსრულებელი", ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, სსიპ თბილისის ზ. ფალიაშვილის საახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედი" (ს/კ 204496116) დირექტორის ნოდარ ჟვანიას სახით, შემდგომში "დამკვეთი", დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

11. "შემსრულებელი" 2016 წლის 16 და 23 მაისს (2 დღე), სარგებლობაში გადასცემს "დამკვეთს" კონსერვატორიის დიდ დარბაზს ღონისძიების ჩასატარებლად. ასევე "შემსრულებელი" "დამკვეთის" დავალებით უზრუნველყოფს აღნიშნულ ღონისძიებაზე დასასწრები ბილეთების რეალიზებას. შემოსული თანხა სრულად ექვემდებარება გადარიცხვას დამკვეთის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

1.2. "დამკვეთი", გადაუხდის "შემსრულებელს" ღონისძიების (კონცერტის) საორგანიზაციო ხარჯებისათვის 1000 (ერთიათასი) ლარს უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორებით.

2. მხარეთა უფლება მოვალეობანი

2.1 "შემსრულებელი" ვალდებულია:
უზრუნველყოს ღონისძიების (კონცერტის) მოწყობასთან დაკავშირებული ისეთი ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, როგორიცაა:

ა. ღონისძიებაზე (კონცერტებზე) დამსწრე საზოგადოების მომსახურება.
ბ. აფიშების დამზადება.

2.2. "დამკვეთი" ვალდებულია:

ა. დროულად მიაწოდოს ღონისძიების (კონცერტების) ჩასატარებლად აუცილებელი ინფორმაცია;
ბ. გადაუხადოს "შემსრულებელს" 1000 (ერთიათასი) ლარი პროექტის დასრულებიდან არა უგვიანეს 15 დღისა.

გ. გამოიყენოს ქონება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნით და გაუფრთხილდეს მას, ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევაში აანაზღაურებს ზიანი.

3. ზოგადი დებულებები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

3.2 ყველა სადაო საკითხი გადაწყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

4. მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

შემსრულებელი	დამკვეთი
სსიპ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია მისამართი: თბილისი, 0108, ალ. გრიბოედოვის ქ. №8-10 ტელ: 29991444 საბანკო რეკვიზიტები: ხაზინის ერთიანი ანგარიში კოდი **TRESGE22** სახაზინო კოდი **708907019** ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნიკოლოზ ხორბალაძე /.....	სსიპ თბილისის ზ. ფალიაშვილის საახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედი" ს/კ 204496116 მისამართი: თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. №19 ა საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა კოდი **TRESGE22** ა/ა 708927499 დირექტორი ნოდარ ჟვანია /.....